სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 13

ქ.თბილისი 27 იანვარი 2017 წელი

ერთის მხრივ სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ზაზა ვაშაყმაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ახალი ამბები" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის (მინდობილობის #150) ნოკოლოზ სიფრაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და შპს „ახალი ამბების" სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (**SPA170000817**) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, სააგენტოს საჭიროებისათვის საინფორმაციო სფეროში ახალი ამბების სააგენტოების მომსახურების გაწევა. (CPV92400000).

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

2.1.1. უზრუნველყოს შემსყიდველისათვის საინფორმაციო სფეროში ახალი ამბების მომსახურების გაწევა 2017 წლის 1 თებერვლიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.1.2 მიაწოდოს შემსყიდველს ყოველდღიური საინფორმაციო ანონსები და ნიუსები ელექტრონულ ფოსტაზე და ასევე უზრუნველყოს შემსყიდველის წვდომა ანონსებზე, ნიუსებზე და არქივზე.

2.1.3 უზრუნველყოს შემსყიდველის საქმიანობისა და მის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ანონსების, ინფორმაციების მომზდება და გაშუქება, აგრეთვე მათი გავრცელება სხვა მედია-საშუალებებისთვის თვეში 15-ჯერ, საქართველოს კანონის „ შრომის კოდექსით" გათვალისწინებული უქმე დღეების ჩათვლით;

2.1.4 უზრუნველყოს შემსყიდველის ღონისძიებების ფოტო გადაღება, საჭიროებისამებრ, თვეში 3-ჯერ.

2.1.5 შემსყიდველისათვის საინტერესო თემების შესახებ ინტერვიუებსა და კომენტარების დამზადება თვეში 2-ჯერ;

2.1.6 განახორციელოს საინფორმაციო მომსახურება ქართულ ენაზე საჭიროების შემთხვევაში ინგლისური და რუსული ენებზე, ელექტრონული ფოსტის და ინტერნეტის საშუალებით.

2.1.7 შემსყიდველს უნდა მიაწოდოს საინფორმაციო ნიუსები და ანონსები ელექტრონულ ფოსტაზე და ასევე უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის წვდომა ანონსებზე, ნიუსებსა და არქივზე;

2.1.8 შემსყიდველის მიერ მიწოდებული ინფორმაცია მისი მიღებიდან შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში.

2.1.9 შემსყიდველისათვის პერსონალურად გამოყოს მომხმარებლის სახელი და პაროლი.

2.2. შემსყიდველი ვალდებულია:
2.2.1. დროულად გადაუხადოს მომწოდებელს გაწეული მომსახურების საფასური.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. **ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 10890 (ათი ათასრვაასოთხმოცდაათი) ლარს,** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.
3.2 მომსახურების ერთი თვის ღირებულება შეადგენს 990 (ცხრაასოთხმოცდაათი) **ლარს.**
4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი.
4.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს და მიღება-ჩაბარების აქტზე პასუხისმეგებელი პირია რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ლელა ფირალიშვილი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტის 4.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული კონტროლის განმახორციელებელი პირის მიერ შედგენილი დასკვნა.
5.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ლელა ფირალიშვილი.
6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
6.2 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის და კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე.
6.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.
6.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
7.2 იმ შემთხვევაში თუ მე-2 მუხლის 2.1.7 პუნქტში მითითებული დარღვევა არ გამოსწორდება, აუნაზღაუროს შემსყიდველს ხელშეკრულების ერთი თვის ღირებულების 3 %-ის ოდენობით.
7.3 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის (არაჯეროვან შესრულებად ჩაითვლება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სისტემატიურად ხარვეზით შესრულება ან დარღვევა) შემსყიდველი

უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება ცალმხრივად და დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 5%-ის ოდენობით.
7.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
7.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. მომსახურების გაწევის ვადა

მომსახურების გაწევის ვადაა 2017 წლის 1 თებერვლიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
9.4 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებლი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.5 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორსმაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.
13.2 მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

14. ზოგადი დებულებები

14.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.
14.2 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

“შემსყიდველი ორგანიზაცია”
რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო
ქ.თბილისი, ლეონიძის ქ.N3/5
სახელმწიფო ხაზინა
ს/კ 205311232

სააგენტოს თავმჯდომარე

/ზ. ვაშაყმაძე/

“მიმწოდებელი”
შპს „ახალი ამბები“
ქ. თბილისი, იოსებიძის ქ 49
სს თიბისი ბანკი TBCBGE22
ა/ა GE21TB7732636060100001
ს/კ 205075014
დირექტორის მინდობილი პირი

/ნ. სიფრაშვილი/